# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 28 იანვარი 2006 №18 (2640) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შევტოპეთ!




ო-ჰო-ჰო-ჰო... საქართველო...

მსოფლიოს ჩემპიონები, ევროპის ჩემპიონები, ძველი ნაცნობები, ნაცნობი უცნობები, ყინულებში დაკარგული კუნძულები და სხვა რამ ათასი...

საქართველო იწყებს ახალ ციკლს და ამასთან ერთად, ახალ ცხოვრებას, რომელშიაც უნდა გაიაროს გრძელ რიგში, რომლის თავშიც პატრიკ ვიეირა და ტიერი ანრი დგანან, ბოლოში კი მოყვარული მეცხვარეები.

ასეთია დღევანდელი ფეხბურთი, რომელშიც ყველას და ყველაფერს უნდა გაუძლო, თუ გინდა, რომ მიაღწიო რაღაც მთავარს და შენთვის მნიშვნელოვანს.

ამიტომ წუწუნს და შეღავათიანი ჯგუფის ლოდინს აზრი არა აქვს.

საქართველომ უნდა იბრძოლოს ჭკუით, ცოდნით, მოხერხებით და უკანმოუხედავად. დანარჩენი კი გამოჩნდება. არა მარტო საქმე, არამედ მადაც. ფეხბურთის ერთ-ერთი უკვდავი ისტორია ხომ გოლიათის და ცეროდენას ისტორიაცაა.

ამიტომ:

მიდი, საქართველო!

## კლაუს ტოპმიოლერი

კარგი ჯგუფია და, შესაბამისად, ძნელიც. აქედან სამი ნაკრები წლეულს მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. საქართველოს რთული, მაგრამ საინტერესო მატჩები ექნება. თავის დროზე მე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დამიტოვა გლაზგოს „ჰემპდენ პარკმა“, სადაც ჩემმა „ლევერკუზენმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი ითამაშა. მთავარია, საქართველოს ნაკრებმა თავისი თამაში აჩვენოს. ჩვენ მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ — ესაა პროგრამა მაქსიმუმი და თუ მიზანს ვერ მივაღწევთ, ტრაგედიად არ აღვიქვამთ. თუმცა მეტოქეები საქართველოსთან იოლ გასეირნებას ნუ ელიან...



## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა

# კენჭები კი არა, ლოდები საქართველოს ბოსტანში

**აბა**, დაიწყო, ჩქარა ტელევიზორებთან... გუშინ შუადღის სამი საათისთვის ქართველ გულშემატკივრებს გული საგულეში არ ჰქონდათ, ნეტავ, ის არ შეგვახვედრა, ნეტავ, ეს შეგვახვედრა. „ეს“ და „ის“ კი ორმოცდაცხრა ევროპული ნაკრები იყო.

ხუმრობა როდია: ახალი, ტოპმწვრთნელით უნდა შევეგებოთ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს, ტოპმწვრთნელს ტოპიმედებიც მოაქვს და განა ცოტას ნიშნავს ამ დროს იღბალი? განა ერთნაირი იმედებია ჰოლანდიასა და, ვთქვათ, საბერძნეთთან თამაშის წინ?..



AFP მონტრეალიდან

წილისყრისწინა მოლოდინში გაილია ნერვიულობის წუთები, მონტროს კონგრეს-ცენტრის უზარმაზარ მონიტორზე წინა ევროჩემპიონატების კაშკაშა გოლები გვაჩვენეს, მერე დაწვრილებით ახსნეს კენჭისყრის პირობები და... ევრო 2008-ის მასპინძლების, შვეიცარიისა და ავსტრიის ნაკრებების ყოფილმა ფეხბურთელებმა, შტეფან შაპუიზამ და ანდრეას ჰერცოგმა კალათაში ჩაჰყვეს ხელი.

დაიწყო სუსტების განაწილებით და ბოლოსწინა კალათიდან საქართველო რომ ამოვიდა, ამ დროს ფარერები უკვე ჩვენი იყო.

ფარერებია რა, გაიფიქრა გულშემატკივარმა. მერე იყო ლიტვა, შოტლანდია, უკრაინა... კარგია, რაღაც საჩვენოდ მიდის საქმე, მაგრამ გულშემატკივართა გული უფრო აჩქარდა, ვინ მოდის პირველ-მეორე კალათებიდან?

მოვიდნენ! იტალია და საფრანგეთი. რამდენი ხანია, ქართველები ევროგრანდებთან არ მოხვედრილან და აი... მაგრამ, როდის ყოფილა, საქართველოს ნაკრებს კლაუს ტოპმოლერის დონის მწვრთნელი ჰყოლია...

მძიმე ჯგუფიაო? მძიმე კი არა, უმძიმესი. ახლა დარჩა კალენდრის შედგენა და გუშინვე გადაწყდა, რომ **B** ჯგუფის შვიდივე ნაკრების წარმომადგენლები 9 თებერვალს პარიზში შეიკრიბებიან...

## კომენტარები



AFP მონტრეალიდან

უოლტერ სმიტი, ალგიმანტას ლიუბინსკასი და რაიმონ დომენეკი



AFP კაიროდან

მარჩელო ლიპი

***რაიმონ დომენეკი**, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი:* მძიმე ჯგუფია, არც ერთი გუნდი არაა ფავორიტი. შესაძლოა, იტალიასა და უკრაინას მსოფლიოს ჩემპიონატზე გადავეყაროთ. ლიტვასთან და საქართველოსთან საფრანგეთს არასოდეს უთამაშია, რაც ჩვენი პლუსი ნამდვილად არაა. ფარერის კუნძულების ნაკრები კი აუტსაიდერი მგონია. მუნდიალის შემდეგ ექვსივე მეტოქეს დეტალურად შევისწავლი.

***უოლტერ სმიტი**, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი:* ჯგუფის სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ სამი გუნდი წლეულს მუნდიალზე ითამაშებს. ძალიან ბევრს ნიშნავს კარგი სტარტი, რათა მერე გამოდევნება არ დაგვჭირდეს.

***ალგიმანტას ლიუბინსკასი**, ლიტვის ნაკრების მწვრთნელი:* ჩვენ გვესმის, რომ უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით. იტალიასთან და საფრანგეთთან მატჩები დიდი სკოლა იქნება ლიტვის ნაკრებისთვის, ჩვენს გულშემატკივრებს დიდი სანახაობა ელით. ისე, A ჯგუფში არ მინდოდა მოხვედრა, რადგან იქ სამ პოსტსაბჭოურ ნაკრებთან მოგვიწევდა თამაში.

***ოლეგ ბლოხინი**, უკრაინის ნაკრების მწვრთნელი:* უკრაინის ნაკრებს ძლიერ ჯგუფში მოხვედრა ტრადიციად ექცა, მიზანი მხოლოდ პირველ-მეორე ადგილებზე გასვლაა. არავისი არ გვეშინია, ჩვენ არც წინა შესარჩევ ციკლში მიგვიჩნევდნენ ფავორიტებად, მაგრამ ვადამდე ადრე გავინაღდეთ მუნდიალის საგზური.

***მარტინ ოლსენი**, ფარერების ნაკრების მწვრთნელი:* ჯგუფის სიძლიერეზე ლაპარაკი ზედმეტია. შევეცდებით, მეტოქეებს იოლად არ ავაღებინოთ ქულები. ჩვენთვის ყველაზე უცნობი გუნდები კი საქართველო და უკრაინა არიან.

***მარჩელო ლიპი**, „სკუადრა ადზურას“ მწვრთნელი მონტროში ჩატარებულ კენჭისყრას არ დასწრებია, „მაესტრო“ ახლა ეგვიპტეში გახლავთ და აფრიკის ერთვნებათა თასზე მოთამაშე განის ნაკრებს „სწავლობს“. მოგეხსენებათ, განა იტალიის მეტოქეა გერმანიის მუნდიალზე. ლიპიმ კომენტარი გუშინ კაიროდან შემოთვალა:* „კარგი ჯგუფია, განსაკუთრებით საფრანგეთთან თამაშები იქნება საინტერესო, მაგრამ ახლა ეს ყველაფერი ნაკლებად მაღელვებს, მთელი ჩემი ყურადღება ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე მაქვს გადატანილი“.

***უჩა უგულავა**, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი:* ვფიქრობ, საკმაოდ ნორმალური ჯგუფია. თამაში ყველასთან შეიძლება.

— სპორტული და ფინანსური თვალსაზრისით ალბათ იდეალური ვარიანტია, მაგრამ ასეთ პირობებში ძნელია, მიზნად ჯგუფიდან გასვლა დაისახო...

— მიზნად კვლავაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას ან უარეს შემთხვევაში, მესამე ადგილს ვისახავთ. მესამე, მეოთხე და მეხუთე კალათიდან ცუდი მეტოქეები არ გვრგებია. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ქულებს ყველა დაკარგავს, მათ შორის საფრანგეთიც და იტალიაც.

— კალენდრის თაობაზე ხომ არ გქონიათ პირველი კონსულტაციები?

— წინასწარი მოლაპარაკება შედგა და კალენდარზე სამუშაოდ 9 თებერვალს პარიზში შევიკრიბებით.

### A ჯგუფი

- პორტუგალია
- პოლონეთი
- სერბეთი
- ბელგია
- ფინეთი
- სომხეთი
- აზერბაიჯანი
- ყაზახეთი

### B ჯგუფი

- საფრანგეთი
- იტალია
- უკრაინა
- შოტლანდია
- ლიტვა
- საქართველო
- ფარერები

### C ჯგუფი

- საბერძნეთი
- თურქეთი
- ნორვეგია
- ბოსნია
- უნგრეთი
- მოლდოვა
- მალტა

### D ჯგუფი

- ჩეხეთი
- გერმანია
- სლოვაკეთი
- ირლანდია
- უელსი
- კვიპროსი
- სან მარინო

### E ჯგუფი

- ინგლისი
- ხორვატია
- რუსეთი
- ისრაელი
- ესტონეთი
- მაკედონია
- ანდორა

### F ჯგუფი

- შვედეთი
- ესპანეთი
- დანია
- ლატვია
- ისლანდია
- ჩრდ. ირლანდია
- ლიხტენშტაინი

### G ჯგუფი

- ჰოლანდია
- რუმინეთი
- ბულგარეთი
- სლოვენია
- ალბანეთი
- ბელარუსი
- ლუქსემბურგი

## *123#

- სიახლე
- ლოგოები
- მელოდიები
- ნახატები
- 18 +
- ჰოროსკოპი
- ვალუტის კურსი
- ფეხბურთი
- ამინდი

## GEO ჭათ



## მიქსი MIX

## wap.geocell.com.ge

- პოლიფონიური მელოდიები
- MP3
- ფერადი ფონები
- ფერადი ანიმაციები
- ვიდეო
- თემები
- თამაშები
- პროგრამები
- 18+
- ჰოროსკოპი
- ფეხბურთი
- ამინდი
- ვალუტის კურსი

# გავივლით ზიდანის პირგზე?
# ფეხბურთი ფეხფუნჯით




ტოპმიოლერი — ზიდანი ერთხელ უკვე იყო: აწ ჩვენს გერმანელს ჩემპიონთა ლიგის თასთან თავი ზიზუს ზეგოლმა ჩააზრევინა

## საფრანგეთი

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1919 წელს
ფიფას წევრი: 1904 წლიდან
უეფას წევრი: 1954 წლიდან
პრეზიდენტი: ჟან-პიერ ესკალეტი
გენერალური მდივანი: ჟაკ ლამბერი
მთავარი მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
კაპიტანი: ზინედინ ზიდანი
სტადიონი: „სტად დე ფრანსი“ (სენ დენი, 80 000)
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 5
ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი (1): 1998
ევროპის ჩემპიონი (2): 1984, 2000
კონფედერაციათა თასის მფლობელი (2): 2001, 2003

ზიდანი — ტოპმიოლერი უკვე იყო, ჩემპიონთა ლიგის ფინალში, 2002 წლის მაისში, როცა კლაუს ტოპმიოლერის „ბაიერს“ მადრიდის „რეალმა“ ზინედინ ზიდანის უცნაური გოლით მოუგო. უკეთესი რა იქნება, თუ ფრანგისა და გერმანელის „დუელს“ სანაკრებო დონეზეც ვნახავთ.

ზინედინ ზიდან ალ-ჰარქიმ რომ იცოდეს, როგორ გაიხურებენ ხელისგულებს ქართველი ქომაგები მისი გვარ-სახელის გამოცხადებისას, აუცილებლად ჩამოვიდოდა თბილისში, მაგრამ ეს უდიდესი სიამოვნება შეიძლება მოგვაკლდეს — „ზიზუმ“ ჯერ არ იცის, დაასრულებს თუ არა სანაკრებო კარიერას მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ.

1972 წლის 23 ივნისს მარსელში დაბადებული ზინედინ ზიდანის „დახატვა“ საწერ-კალამს კი არა, დიდი მხატვრის ფუნჯსაც გაუჭირდება, რადგან თვითონაა მხატვარი და მის ფეხ-ფუნჯს არაერთი დაუვიწყარი, ისეთი გოლი თუ პასი დაუხატავს, ქომაგი პირღია დაუტოვებია.

საცოდაობა იქნება, რომ ქართველმა გულშემატკივარმა ტრიბუნიდან, ახლოდან ვერ ნახოს ზინედინ ზიდანის შუბლზე ჩამოსრიალებული ოფლის წვეთი, რომელიც ტელევიზორში ბევრჯერ გვინახავს.

ამ ნაოფლარი შუბლით დაეხმარა „ზიზუ“ საფრანგეთს გასულ შემოდგომაზე, როცა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში გაუჭირდა და გუნდს ფეხი და გონება წაახმარა.

დიდებულმა კაცმა, ჯადო-ფეხბურთელმა, შესაძლოა, უარი თქვას ნაკრებზე 2006-ის ივნისის შემდეგ, როცა უკვე 34 წლის იქნება. ჩვენ კი ველით ზიდანს და, ვინ იცის, ეგებ...

„ზიზუ“ თუ მაინც „აგვცდა“, ტიერი დანიელ ანრის ალბათ ვიხილავთ. ზიდანივით მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ორი, ან ჩემპიონთა თასის ფინალში გამარჯვების გოლი არ გაუტანია, მაგრამ ლონდონის „არსენალისა“ და საფრანგეთის ნაკრებისთვის ანრი შეუცვლელია.

„მე ვუთხარი ჩემს შვილებს „ნიუკასლის“ ფეხბურთის აკადემიაში — დასხედით და ნახეთ, როგორ თამაშობს ანრი. შემიძლია, მას მთელი დღე ვუყურო“ — ეს ნათქვამი პიტერ ბერდსლის ეკუთვნის.

არ არსებობს ისეთი რამ, რისი შესრულებაც „არსენალის“ ფორვარდს მოედანზე არ შეეძლოს. საჯარიმო დარტყმა? — ანრი; პენალტი — ანრი; საგოლე პასი — ანრი; გოლი, გოლი და კიდევ გოლი — კვლავ ანრი.

მან უკვე გაასწრო ლონდონის „არსენალის“ ისტორიაში საუკეთესო მეგოლე იან რაიტს, ხოლო ნაკრებში 75 მატჩში ოცდაათზე მეტი გაუტანია.

მეკარეა და ამიტომ ზიდანს და ანრის პოპულარობით ვერ შეედრება, მაგრამ განა ფაბიენ ბარტეზის ნუსხიდან ამოგდება შეიძლება? მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ ბარტეზი და ლიონელი გრეგორი კუპე იბრძვიან, თუმცა „მარსელის“ ხოტორა მეკარეს, ალბათ, უფრო ენდობიან. მუნდიალის შემდეგ დარჩება თუ არა ნაკრებში ბარტეზი, უცნობია. თუ იუარა, მაშინ გრეგორი კუპეს მაინც ვიხილავთ თბილისში.

სათითაოდ რომ ვწეროთ საფრანგეთის ნაკრების ყველა ვარსკვლავზე, თექვსმეტი საგაზეთო გვერდი არ გვეყოფა, ამიტომ ვთქვათ მწვრთნელზე, რაიმონ დომენეკზე, რომლის ხელქვეითაც „ლურჯები“ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე წაუგებლად გავიდნენ.

რაიმონ დომენეკს 24 იანვარს 54 წელი შეუსრულდა. ფეხბურთელობისას „ლიონის“ მაისურით (1973) და „სტრასბურის“ შემადგენლობაში (1979) საფრანგეთის თასი მოუგია. 1981-ში პსჟ-ში გადავიდა და ერთი სეზონი დედაქალაქურ გუნდში გაატარა. შემდეგ „ბორდოში“ გადაბრძანდა, სადაც ორი წელი დაჰყო.

1984-ში კარიერა დაასრულა, ხოლო 1989-1993 წლებში „ლიონის“ მწვრთნელად მუშაობდა. მერე დააწინაურეს და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრები ჩააბარეს (1993-2004). 2004-ის 12 ივლისს, ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე ეროვნულ გუნდში ჟაკ სანტინი შეცვალა.

დომენეკის ხელში ფრანგები დაცვაში „გამკაცრდნენ“. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში „ლურჯებმა“ მხოლოდ ორი გოლი გაუშვეს, შეტევაში კი დიდად ვერ გაილაღეს, რაკი მხოლოდ 14 გაიტანეს. 14-დან შვიდი კვიპროსთან და ფარერებთან შეაგდეს, შვეიცარიასთან, ირლანდიასთან და ისრაელთან კი საკმაოდ გაუჭირდათ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე G ჯგუფში ითამაშებენ. მათი მეტოქეები სამხრეთ კორეა, შვეიცარია და ტოგო იქნებიან. რა მოხდება ივნისის შემდეგ, სამკითხაოა, რასაც არ ვაპირებთ. როგორც უნდა დასრულდეს ფრანგებისთვის მუნდიალი, თუ, საქართველოს ნაკრებს ფხის გამოჩენა სურს, საფრანგეთის ნაკრებთან მატჩებში გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს, ორჯერ უფრო მეტის, ვიდრე ზიდანის შუბლიდან ჩამოდის მატჩის მეხუთე წუთზე.

**ვაჟა ხუციშვილი**

### საფრანგეთი მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ტურნირში

*მეკარეები:* ფაბიენ ბარტეზი, გრეგორი კუპე, მიკაელ ლანდრო;
*მცველები:* ერიკ აბიდალი, ჟან-ალენ ბუმსონგი, ზუმანა კამარა, პატრის ევრა, უილიამ გალასი, გაელ გივე, ფრანკ ჟურიეტი, ბერნარ მენდი, ენტონი რეველიერი, ვილი სანიოლი, მიკაელ სილვესტრი, სებასტიან სკილაჩი, ლილიან ტურამი, ჯონათან ძებინა;
*ნახევარმცველები:* ოლივიე დაკური, ვიკაშ დორასო, ალუ დიარა, კლოდ მაკელელე, ფლორენ მალუდა, რიო მავუბა, კამელ მერიემი, ბენუა პედრეტი, რობერ პირესი, ჟერომ როტენი, პატრიკ ვიეირა, ზინედინ ზიდანი, ლუდოვიკ ჟიული, სტივ მარლე, სილვენ ვილტორდი;
*თავდამსხმელები:* ჯიბრილ სისე, დანიელ მორეირა, სიდნეი გოვუ, ტიერი ანრი, პეგი ლუინდულა, ლუი საა, დავიდ ტრეზეგე.

**საფრანგეთი 0:0 ისრაელი**
**ფარერები 0:2 საფრანგეთი**
**საფრანგეთი 0:0 ირლანდია**
**კვიპროსი 0:2 საფრანგეთი**
**საფრანგეთი 0:0 შვეიცარია**
**ისრაელი 1:1 საფრანგეთი**
**საფრანგეთი 3:0 ფარერები**
**ირლანდია 0:1 საფრანგეთი**
**შვეიცარია 1:1 საფრანგეთი**
**საფრანგეთი 4:0 კვიპროსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 14:2 | 20 |
| შვეიცარია | 10 | 4 | 6 | 0 | 18:7 | 18 |
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| ირლანდია | 10 | 4 | 5 | 1 | 12:5 | 17 |
| კვიპროსი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:20 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |

# იტალია

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1898 წელს
ფიფას წევრი: 1905 წლიდან
უეფას წევრი: 1954 წლიდან
პრეზიდენტი: ფრანკო კარარო
გენერალური მდივანი: ფრანჩესკო ღირელი
მთავარი მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
კაპიტანი: ფაბიო კანავარო
სტადიონი: „სტადიო ოლიმპიკო" (რომი, 80 338)
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 12
ტიტულები: მსოფლიოს ჩემპიონი (3): 1934, 1938, 1982;
ევროპის ჩემპიონი (1): 1968


ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველად იყო პერუჯა: საქართველოს ნაკრებს ერთადერთი გოლი ფაბრიციო რავანელიმ გაუტანა

# უხერხულობა, რომელსაც საქართველო ჰქვია

**საქართველოში** გავრცელებულია აზრი, რომ ჩვენი ნაკრები იტალიის ნაკრებისთვის უხერხული მეტოქეა. ამის შემოწმება ყველაზე ადვილი სტატისტიკით არის: როგორც ამავე გვერდზე მოყვანილი მონაცემებიდან ხედავთ, გუნდები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ამ ოთხი თამაშიდან სამი იტალიამ მოიგო, ერთი კი ფრედ დასრულდა. გამოდის, რომ, ციფრები არ ადასტურებს ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას. მაშ, რატომ შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს იტალიასთან თამაში გამოუდის? მოდი, გარკვევა ვცადოთ და ამჯერად ანგარიშებს გადავხედოთ. ალბათ, შეამჩნიეთ, იტალიას საქართველოსთვის დიდი ანგარიშით არ მოუგია. მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რაც თავში ვთქვით?

ცხადია, რომ სტატისტიკა ფაქტებს ასახავს, ემოცია და შინაარსი კი შეიძლება მართლაც ვერ გადმოსცეს. არადა, აზრი, თითქოს საქართველო იტალიისთვის უხერხული მეტოქეა, ვფიქრობთ, უფრო ემოციაზეა დაყრდნობილი. ის, რომ იტალიამ საქართველოს დიდი ანგარიშით ერთხელაც ვერ მოუგო და ამან გარკვეული დასკვნა გაგვაკეთებინა, იცით, რაზე მეტყველებს? იმაზე, რომ ჩვენ ამ გუნდთან დიდი ანგარიშით წაგებას ველოდით და ასე რომ არ მოხდა, თან ერთხელ კი არა, ოთხჯერ, ვთქვით, რომ „სკუადრა აძურას" კარგ წინააღმდეგობას ვუწევთ. არადა, გუნდი ოთხჯერ შეგხვდა და სამჯერ მოგიგო...

არ დაგიმალავთ, თავის დროზე „იტალიურ ეიფორიას" ვერც ამ სიტყვების ავტორი გადაურჩა, მაგრამ 1996 წლის 9 ოქტომბერს ერთმა ჭკუისსასწავლებელმა ისტორიამ შეუცვალა აქცენტები. ეს გახლდათ იტალიისა და საქართველოს პირველი მატჩის დღე. მატჩი პერუჯაში გაიმართა. საქართველოს ნაკრებს ორი კარგი მომენტი ჰქონდა — მეკარე ფრანჩესკო ტოლდომ ითამაშა ბრწყინვალედ — და არც შეხვედრის ზოგადი სურათი იყო შემაშფოთებელი. მეტიც, იყო ეპიზოდი, როდესაც ბურთს ჩვენები აკონტროლებდნენ. მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, ალექსანდრე ჩივაძეს მივულოცე კიდეც კარგი თამაში... შემდეგ კი იქვე მდგომი იტალიელი ფეხბურთელი რობერტო დი მატეო დავინახე და გამოველაპარაკე. სწორედ ამ კაცმა დამანახა ის მატჩი სხვა თვალით: ალალად შეგვაქო, ჩვენი ორი მომენტი და რამდენიმე კომბინაცია გაიხსენა, შემდეგ კი იტალიელთა პლუსებიც თქვა და... აშკარად დამანახა, რომ თამაში ლოგიკურად დამთავრდა.

დიახ, ჩვენ ბურთი გავათამაშეთ, მაგრამ მათ მეტად გაათამაშეს; დიახ, მომენტები გვქონდა, მაგრამ მათაც არანაკლები ჰქონდათ; ჩვენი შეტევების დროს მათი დაცვა არ არეულა და სხვა ამდაგვარი. მთავარი კი მთელ ამ საუბარში ის იყო, რომ რობერტო დი მატეოს არ უკვირდა, ქართველებმა მომენტები რომ შექმნეს, ეს ნორმალურ ამბად მიაჩნდა და კმაყოფილი იყო, რომ მეტოქეს მთელი რიგი პარამეტრებით აჯობეს, ერთი სიტყვით, მოიგეს. მაშინ ცხადად გამოჩნდა, რომ იტალიას, ინგლისს ან გერმანიას ორ მომენტს თუ შეუქმნი, არ უნდა გაგიხარდეს. თურმე მეტოქემ იცის, რომ შენც ფეხბურთელი ხარ და შეიძლება კარში დაურტყა ან კომბინაცია გაუთამაშო. ერთი სიტყვით, ის შენთან ბურთის სათამაშოდ ემზადება და ცდილობს, მოგების ხერხები შენზე მეტი იცოდეს და უკეთ გამოიყენოს. თურმე სასიხარულო მხოლოდ მოგებაა და სწორედ ეს უნდა ისწავლო.

მეორედ იტალიას 1997 წლის 10 სექტემბერს შევხვდით თბილისში. ეს ის ერთადერთი მატჩია, რომელიც „სკუადრა აძურამ" ვერ მოგვიგო. კიდევ, ეს ის შეხვედრაა, რომლის მე-20 წუთზე კახა ცხადაძე დაშავდა და მის ნაცვლად დებიუტანტი კახა კალაძე შევიდა მოედანზე. კალაძეს იმ მატჩში კრისტიან ვიერის წინააღმდეგ მოუხდა თამაში და თავიც გამოიჩინა. სხვათა შორის, იმ მატჩის ბოლო 19 წუთის განმავლობაში თბილისის მრავლისმნახველი „ეროვნულის" გაზონზე კიდევ ერთი „დიადი ფეხი" დაიდგა — რობერტო ბაჯო შევიდა ატილიო ლომბარდოს ნაცვლად. შინაარსობრივად კი მატჩი ერთობ შემაშფოთებელი გახლდათ: იტალია ორი ტაიმის განმავლობაში საქართველოს ნაკრების საჯარიმოსთან და საჯარიმოში სახლობდა, გოლი კი შემთხვევის, ქართველთა თავგანწირვის და მეკარე ტოგონიძის ბრწყინვალე თამაშის გამო ვერ გაიტანა.

მესამე მატჩი 2000 წლის 11 ოქტომბერს ანკონაში გაიმართა. ეს უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გახლდათ, რომელიც ძირითადად ფრანჩესკო ტოტის ტყუილი წაქცევებით, ჩვენს კარში დანიშნული ორი პენალტით და წვრილმანი ჯარიმებით შემორჩა მეხსიერებას.

იყო ის პენალტები? არ იყო? საკითხავი, აი, რა არის, მაგრამ მთავარი თემა მაინც სხვა გახლდათ: იტალიამ ისევ არ გააკეთა რაღაც დიადი და ჯადოსნური, რასაც ჩვენი გულშემატკივარი მისგან ელოდა. მან მოიგო იმიტომ, რომ კლასით მაღლა იდგა ანუ კვლავ უფრო უკეთ და ზუსტად იცოდა მოგების ხერხების გამოყენება.


ჯაბა იორდანიშვილის ფოტო

ბოლო საქართველო — იტალია. მიხეილ ყაველაშვილი და პაოლო მალდინი

ბოლოს ეს გუნდები 2001 წლის 2 ივნისს, კვლავ თბილისის „ეროვნულზე" შეხვდნენ ერთმანეთს. იტალია საქართველოს ისევ ყველა პარამეტრით სჯობდა, საქართველომ კი გოგა გახოკიძის კარგი გოლით და მიხეილ ყაველაშვილის ძალიან ლამაზი ტექნიკური ილეთით უპასუხა.

ახლა კი დავუბრუნდეთ წერილის თავში დასმულ კითხვას: არის საქართველო იტალიისთვის უხერხელი მეტოქე? ამ კითხვაზე სწორი პასუხი თითოეულმა ჩვენგანმა, ფეხბურთელმაც და გულშემატკივარმაც საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს, რადგან იტალიის ნაკრები აქ არაფერ შუაშია. მას შეუძლია ფეხბურთი გეთამაშოს და მეტი არაფერი. აი, ჩვენ კი შეგვიძლია, „სკუადრა აძურასთან" მორიგი შეხვედრისას სტადიონზე მაყურებლიან ფეხბურთელებიანად მოწინააღმდეგის სანახავად ან თამაშის მოსაგებად მივიდეთ... არჩევანი ჩვენზეა.

**ბაჩუნა ძიდია**

### იტალია მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ტურნირში

***მეკარეები:*** *ჯანლუიჯი ბუფონი, მორგან დე სანქტისი, ივან პელიცოლი, ანჯელო პერუცი, ფლავიო რომა, კრისტიან აბიატი;*
***მცველები:*** *ანდრეა ბარძალი, დანიელე ბონერა, პაოლო კანავარო, ფაბიო კანავარო, ჯორჯო კიელინი, ჯუზეპე ფავალი, ფაბიო გროსო, ნიკოლა ლეგროტალიე, მარკო მატერაცი, ალესანდრო ნესტა, მასიმო ოდო, ჯუზეპე პანკარო, კრისტიან ძაკარდო;*
***ნახევარმცველები:*** *მასიმო ამბროზინი, სიმონე ბარონე, მანუელე ბლაზი, მაურო კამორანეზი, დანიელე დე როსი, აიმო დიანა, სტეფანო ფიორე, ჯენარო გატუზო, სიმონე პეროტა, ანდრეა პირლო, ჯანლუკა ძამბროტა, ალესანდრო დელ პიერო, მაურო ესპოზიტო, ფრანჩესკო ტოტი;*
***თავდამსხმელები:*** *ანტონიო კასანო, ბერნარდო კორადი, მარკო დი ვაიო, ალბერტო ჯილარდინო, ვინჩენცო იაკინტა, ფაბრიციო მიკოლი, ლუკა ტონი, კრისტიან ვიერი, ფილიპო ინძაგი.*

**იტალია 2:1 ნორვეგია**
**მოლდოვა 0:1 იტალია**
**სლოვენია 1:0 იტალია**
**იტალია 4:3 ბელარუსი**
**იტალია 2:0 შოტლანდია**
**ნორვეგია 0:0 იტალია**
**შოტლანდია 1:1 იტალია**
**ბელარუსი 1:4 იტალია**
**იტალია 1:0 სლოვენია**
**იტალია 2:1 მოლდოვა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:8 | 23 |
| ნორვეგია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:7 | 18 |
| შოტლანდია | 10 | 3 | 4 | 3 | 9:7 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 2 | 7 | 5:16 | 5 |

### საქართველო იტალიასთან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09/10/96 | ს | მჩ | იტალია | 0:1 |
| 10/09/97 | შ | მჩ | იტალია | 0:0 |
| 11/10/00 | ს | მჩ | იტალია | 0:2 |
| 02/06/01 | შ | მჩ | იტალია | 1:2 |

# ბლოხინმა უკრაინა უკვე გამოიგირა
## ნუ დავიჯერებთ: ვინ იცის, რა გამოვა, როცა შევა...





ოლეგ ბლოხინის ხელებმა უკრაინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა

**მესამე** კალათიდან საქართველოს მეტოქედ... ანდრეი შევჩენკო ერგო. რაც უნდა დილეტანტურად ჟღერდეს, დღეს უკრაინელთა ნაკრები ერთ ფეხბურთელთან ასოცირდება და ეს ასოციაცია საკმაოდ ახლოსაა რეალობასთან. რიგ მიზეზთა გამო, ამ ყალიბის მეტოქეთაგან (მესამე კალათიდან) უკრაინა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ვარიანტი იყო. ბუნებრივია, ამ მოსაზრებას არაფერი აქვს საერთო საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიულ პარტნიორობასთან, ჩვენი ხალხების მეგობრობასთან ან უკრაინულ სალასთან (პერცოვკით) და წმინდა საფეხბურთო არგუმენტებს ეფუძნება.

ზაფხულში უკრაინელებს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში უწევთ. ამან დიდწილად უნდა განსაზღვროს მათი ნაკრების სახე მომავალ შესარჩევ ციკლში. გერმანიის მინდვრებზე უკრაინა შესაძლებლობათა ზღვარზე გაივლის, რასაც ნებისმიერ შემთხვევაში მოჰყვება ნაკრების გადახალისება-გაახალგაზრდავება. ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელს, რომელთა მხრებზეც ყველა ბოლოდროინდელმა უკრაინულმა გამარჯვებამ გადაიარა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულება ამთავითვე აქვს გადაწყვეტილი. 34 წლის გუსინის, 32 წლის რებროვის, მასზე ერთი წლით უმცროსი ვაშჩუკისა და ფიოდოროვისთვის მუნდიალის ფინალური ეტაპი ნებისმიერი შედეგის შემთხვევაში სანაკრებო მოღვაწეობისთვის დასმული ლამაზი წერტილი იქნება. მათი ღირსეული შემცვლელები ჯერ არ ჩანან, რამაც უკრაინელთა მთავარ მწვრთნელ ოლეგ ბლოხინს ისიც კი ათქმევინა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩვენი სანაკრებო ფეხბურთი სასიკვდილოდაა განწირულიო. ბუნებრივი და მოსალოდნელი დალმასვლა იმას არ ნიშნავს, რომ უკრაინა თუნდაც ჯგუფის ფავორიტთათვის ხელწამოსაკრავი მეტოქე იქნება. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ლურჯ-ყვითელი მაისურით თამაშს განაგრძობს ფეხბურთელი, რომელსაც შეუძლია, მარტომ „გააკეთოს თამაში“ — ანდრეი შევჩენკო.

ფეხბურთში ლირიკას მუდამ სტატისტიკა სჯობს, მაგრამ თავად უკრაინელებიც არ მალავენ, რომ გერმანიის საგზური დიდწილად ოლეგ ბლოხინის ყისმათმა არგუნათ. უკრაინამ მართლაც მძიმედ დაიწყო შესარჩევი ციკლი. კოპენჰაგენში 1:1-ის შემდეგ დანიელები აცხადებდნენ, დაკარგულ ორ ქულაზე გული თავისთავად გვწყდება, მაგრამ უსამართლობაა უკრაინელთა ანტიფეხბურთის ფონზე მატჩის ფრედ დასრულებაო. ამას ყაზახეთში ბოლო წუთზე გატანილი გოლით გამარჯვება, მერე კი კიევში ბერძნებთან ფრე მოჰყვა. ბლოხინის გუნდისთვის შესარჩევი ეტაპის მეოთხე შეხვედრა ლვოვში გამართული უკრაინა — საქართველო იყო. საშუალება მქონდა, ტრიბუნიდან მედევნებინა ლვოვური მატჩისთვის თვალი და ნამატჩევს მასპინძლებიც არ მალავდნენ, რომ თამაშით ჩვენი გუნდი მათსას აშკარად ჯობდა. აი, ამის შემდეგ კი მართლა აიწყვიტეს ხახოლებმა, მიჯრით კიდევ ხუთი მატჩი მოიგეს და ნანატრი რეალობად აქციეს.

შეგახსენებთ, რომ ორი ოფიციალურის გარდა, ქართული და უკრაინული ფეხბურთის სანაკრებო ურთიერთობა ოთხ ამხანაგურ მატჩსაც მოითვლის. ორჯერ სტუმრის, ორჯერაც მასპინძლის როლში ვიყავით და სამი მარცხის წილ ერთ თბილისურ 0:0-ს გამოვრჩით.

გუშინდელი კენჭისყრის დასრულების შემდეგ ოლეგ ბლოხინმა განაცხადა: „ყველა ჯგუფში სამიოთხი მეტნაკლებად თანაბარი ძალის გუნდი მოხვდა და წინასწარ ევროპის ჩემპიონატზე თავს ვერავინ დაიგულებს. რაც შეგვეხება ჩვენ, იოლ გასეირნებას არც ველოდით, მეტისმეტად მძიმე ბრძოლების გადატანა მოგვიწევს“. ნაირგვარი ფორუმების მოტრფიალე უკრაინელი გულშემატკივრების აზრით, გუშინ მონტროში ბლოხინის ყისმათს წერტილი დაესვა, ოლეგ ივანიჩი გმირის რანგში არჩევს ნაკრებიდან წასვლას და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კიევის „დინამოში“ ანატოლი დემიანენკოს ადგილს დაიკავებს.



გამზობთ უკრაინას, ვგულისხმობთ ანდრეი შევჩენკოს

ყველაფრის მიუხედავად, უკრაინა გუნდ-გამოცანად რჩება. არავინ იცის, როგორი იქნება ნაგერმანიევს მისი შემადგენლობა ან თუნდაც სამწვრთნელო შტაბი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ უკრაინელთა თამაშიც და შედეგიც დიდწილად ერთი კაცის გუნება-განწყობაზე, ჯანმრთელობასა და სათამაშო ფორმაზე იქნება დამოკიდებული. იმ კაცს ანდრეი შევჩენკო, უბრალოდ, „შევა“ ჰქვია...

**გიორგი ნოზაძე**

### უკრაინა

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1991 წელს
ფიფას წევრი: 1992 წლიდან
უეფას წევრი: 1992 წლიდან
პრეზიდენტი: გრიგორი სურკისი
გენერალური მდივანი: ალექსანდრ ბანდურკო
მთავარი მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
კაპიტანი: ანდრეი შევჩენკო
სტადიონი: „ოლიმპიისკი“ (კიევი, 83 300)
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 40

### უკრაინა მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ტურნირში

*მეკარეები:* ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიაჩესლავ კერნოზენკო, ვიტალი რევა, მაქსიმ სტარცევი;
*მცველები:* ვიაჩესლავ ჩეჩერი, იური დმიტრულინი, სერგეი ფიოდოროვი, სერგეი მატიუხინი, ანდრეი ნესმაჩნი, ალექსანდრ რადჩენკო, ანდრეი რუსოლი, მიხაილ სტაროსტიაკი, ვიაჩესლავ სვიდერსკი, ვლადისლავ ვაშჩუკი, ვლადიმირ იეზერსკი;
*ნახევარმცველები:* რუსლან ბიდნენკო, ოლეგ გუსევი, ანდრეი გუსინი, სერგეი ნაზარენკო, რუსლან როტანი, ალექსანდრ რიკუნი, ოლეგ შელაევი, ვიაჩესლავ შევჩუკი, სერგეი შიშჩენკო, ანატოლი ტიმოშჩუკი, სერგეი ზაკარლიუკა, ანდრეი ვორობეი;
*თავდამსხმელები:* ანდრეი შევჩენკო, ანდრეი ვორონინი, სერგეი რებროვი, ოლეგ ვენგლინსკი, ალექსეი ბელიკი, ალექსანდრ კოსირინი.

**დანია 1:1 უკრაინა**
**ყაზახეთი 1:2 უკრაინა**
**უკრაინა 1:1 საბერძნეთი**
**უკრაინა 2:0 საქართველო**
**თურქეთი 0:3 უკრაინა**
**ალბანეთი 0:2 უკრაინა**
**უკრაინა 1:0 დანია**
**უკრაინა 2:0 ყაზახეთი**
**საბერძნეთი 0:1 უკრაინა**
**საქართველო 1:1 უკრაინა**
**უკრაინა 0:1 თურქეთი**
**უკრაინა 2:2 ალბანეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 12 | 7 | 4 | 1 | 18:7 | 25 |
| თურქეთი | 12 | 6 | 5 | 1 | 23:9 | 23 |
| დანია | 12 | 6 | 4 | 2 | 24:12 | 22 |
| საბერძნეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 15:9 | 21 |
| ალბანეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:20 | 13 |
| საქართველო | 12 | 2 | 4 | 6 | 14:25 | 10 |
| ყაზახეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 6:29 | 1 |

### საქართველო უკრაინასთან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19/08/98 | ს | ამ | უკრაინა | 0:4 |
| 20/03/99 | შ | ამ | უკრაინა | 0:1 |
| 14/02/01 | შ | ამ | უკრაინა | 0:0 |
| 17/04/02 | ს | ამ | უკრაინა | 1:2 |
| 13/10/04 | ს | მჩ | უკრაინა | 0:2 |
| 03/09/05 | შ | მჩ | უკრაინა | 1:1 |

# ბერნის შემდეგ



ბერტი ფოგტსმა შოტლანდიაში ვერაფერს მიაღწია

**ბერტი** ბერწი გამოდგა და შოტლანდიამ უოლტერ სმიტს უხმო — 2006 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი გახურებული იყო, როცა შოტლანდიას ფინალურ ეტაპზე გასვლა აღარ ეწერა და სქოთებმაც გერმანელი ბერტი ფოგტსის ნაცვლად თანამემამულეს დაუძახეს.

სმიტი უბრალო კაცი როდია, 1986 წლის მუნდიალზე მექსიკაში ის სერ ალექს ფერგიუსონს ეხმარებოდა შოტლანდიის ნაკრების გაწვრთნაში. მაშინ შოტლანდიას კენი დალგლიში და გორდონ სტრაჩანი ჰყავდა, რომელთა დარ ფეხბურთელებს ახლა კი ეძებს, მაგრამ ჯერ ვერ უპოვია.

90-იან წლებში სმიტი „გლაზგო რეინჯერსს“ წვრთნიდა, მისი შეგირდები ალი მაკოისტი და პოლ გესკოინი იყვნენ და გუნდი თითქმის სულ შოტლანდიის ჩემპიონი ხდებოდა, იმხანად „სელტიკს“ არ ახარებდა. შემდეგ სმიტი ინგლისური პრემიერლიგის „ევერტონს“ მოძღვრავდა...

სმიტი გულიანი და სამართლიანი კაცია, მან იცის ფეხბურთელებთან ურთიერთობა და საზოგადოებაში მოქცევა — ასეთად მიიჩნევენ მას ბრიტანეთში.

წინა სეზონში სმიტი ალექს ფერგიუსონმა მიიწვია „მანჩესტერ იუნაიტედში“, ჩემი თანაშემწე კარლუშ კეიროში მადრიდის „რეალში“ წავიდა და მისი მაგივრობა შენ უნდა გამიწიოო. სმიტს უარი არ უთქვამს...

ფოგტსი კი ამბობდა, შოტლანდიის ნაკრებში ხელმოცარული იმიტომ ვარ, რომ კარგი ფეხბურთელები არ მყავსო. ბერტი თავს იმართლებდა, თუმცა ტყუილსაც არ ამბობდა.

შოტლანდიას არ ჰყავს მეფურორე მოთამაშეები და ვერც რომელიმე ახალგაზრდაზე იტყვის, მომავალი დენის ლოუაო. სქოთთა ნაკრების კარს მეტწილად 33 წლის ლესტერელი რობ დუგლასი იცავს, ვინც მანამდე „სელტიკში“ თამაშობდა.

დაცვაში მთავარი კაცი დევიდ ვეირია, „ევერტონის“ 35 წლის კაპიტანი, რომელიც გზნებით კოლინ ჰენდრის ჩამოჰგავს, 90-იანი წლების სქოთთა ცენტრალურ მცველს. გამოცდილება არც „ვესტ ჰემის“ კრისტიან დეილის დაეწუნება.

შუა ხაზში სქოთებს ყველაზე მეტად ალბათ დარენ ფლეტჩერის ეიმედებათ — ის 23 წლისაა და „მანჩესტერის“ სასტარტოში არცთუ იშვიათად თამაშობს, ნაკრებში 20 მატჩის ჩატარებაც მოასწრო და 3 გოლის გატანაც.

ნახევარმცველია ნაკრების კაპიტანი ბარი ფერგიუსონიც, ვისაც „რეინჯერსში“ შოტლანდიის ჩემპიონობა შოთა არველაძესთან და ზურაბ ხიზანიშვილთან ერთადაც მოუპოვებია. ფერგიუსონს ჩაშლაც ეხერხება და შექმნაც, თუმც ტიპიური პლეიმეიკერი არ ეთქმის.

თავდასხმაში ნომერ პირველად ჯეიმს მაკფადენი ითვლება. მიუხედავად ფორვარდობისა, გოლის გატანა დიდად არ ეხერხება, თუმც ძალიან სასარგებლო მოთამაშეა.

...უამრავი კუნძული, 26 მდინარე, გლაზგო, დანდი და ედინბურგი, რომლის ციხე-კოშკშიც ინახება უილიამ უოლესის ხმალი და სქოთთა სხვა ეროვნული საგანძური. ედინბურგშია შოტლანდიის პარლამენტიც, რომელიც 300 წლის მერე, 1999 წელს აღადგინა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ.

შოტლანდიელები მეტწილად პროტესტანტები არიან, თუმც ირლანდიელმა ლტოლვილებმა იქ კათოლიკობაც გაავრცელეს, როცა კარტოფილის გასაყიდად ჩადიოდნენ იქ და სქოთები ამ კარტოფილისგანაც ხდიდნენ ვისკის.

შოტლანდიელია პირველი აგენტი 007 შონ კონერი, შოტლანდიელმა ალექს ბელმა გამოიგონა ტელეფონი, შოტლანდიელი იყო მწერალი უოლტერ სკოტი.

საქართველოს ეროვნული ნაკრები შოტლანდიისას არასოდეს გადაჰყრია, მაგრამ 1982 წელს ესპანეთის ცის ქვეშ გამართულ მუნდიალზე საბჭოთა კავშირი შოტლანდიას 2:2 ეთამაშა, გოლები რამაზ შენგელიამ და ალექსანდრე ჩივაძემ გაიტანეს.

**დავით თავართქილაძე**

## შოტლანდია

ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა: 1873 წელს
ფიფას წევრი: 1910 წლიდან
უეფას წევრი: 1954 წლიდან
პრეზიდენტი: ჯონ მაკბეტი
გენერალური მდივანი: დევიდ ტეილორი
მთავარი მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
კაპიტანი: ბარი ფერგიუსონი
სტადიონი: „ჰემპდენ პარკი“ (გლაზგო, 70 000)
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 60

### შოტლანდია მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ტურნირში

*მეკარეები:* რობერტ დუგლასი, რაიან ესონი, კრეიგ გორდონი, დევიდ მარშალი;

*მცველები:* გრემ ალექსანდერი, რასელ ანდერსონი, სტივენ კოლდუელი, გარი კოლდუელი, კრისტიან დეილი, მალკი მაკკეი, იან მიურეი, გარი ნეისმიტი, ბრაიან ონილი, სტივენ პრესლი, ენდი ვებსტერი, დევიდ ვეირი;

*ნახევარმცველები:* კოლინ კამერონი, ბარი ფერგიუსონი, დარენ ფლეტჩერი, პოლ ჰარტლი, გარი ჰოლტი, ნილ მაკკანი, ჯეკი მაკნამარა, სტივენ პირსონი, ნაიჯელ ქვოში, სკოტ სევერინი;

*თავდამსხმელები:* კრეიგ ბიტი, სტივენ კროუფორდი, პოლ დიკოვი, ჯეიმს მაკფადენი, კენი მილერი, ლი მილერი, გარი ოკონორი, დერეკ რიორდანი, სტივენ ტომპსონი.

**შოტლანდია 0:0 სლოვენია**
**შოტლანდია 0:1 ნორვეგია**
**მოლდოვა 1:1 შოტლანდია**
**იტალია 2:0 შოტლანდია**
**შოტლანდია 2:0 მოლდოვა**
**ბელარუსი 0:0 შოტლანდია**
**შოტლანდია 1:1 იტალია**
**ნორვეგია 1:2 შოტლანდია**
**შოტლანდია 0:1 ბელარუსი**
**სლოვენია 0:3 შოტლანდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 17:8 | 23 |
| ნორვეგია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:7 | 18 |
| შოტლანდია | 10 | 3 | 4 | 3 | 9:7 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ბელარუსი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:14 | 10 |
| მოლდოვა | 10 | 1 | 2 | 7 | 5:16 | 5 |

## ლიტვა

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1922 წელს
ფიფას წევრი: 1923 წლიდან
უეფას წევრი: 1992 წლიდან
პრეზიდენტი: ლიუტაურას ვარანავიჩიუსი
გენერალური მდივანი: იულიუს კვედარასი
მთავარი მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი
კაპიტანი: აურელიუს შკარბალიუსი
სტადიონი: „ჟალგირისი“ (ვილნიუსი, 14 970)
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 102

# იუსები და უსკასები
## ძველ ნაცნობს გაუმარჯოს



ლიტველთა ლიდერი ედგარას იანკაუსკასი

**მონტროს** კონგრეს-ცენტრში მეხუთე კალათიდან ილებენ ბურთულებს, ქართველ გულშემატკივრებს კი გულშემაღონებელი ალბანეთის გაგონებაც არ უნდათ. ოღონდ ეგ არა, ოღონდ ეგ არა და... კაცმა რომ თქვას, ამ კალათიდან ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ნაკრები შეგვხვდა — ლიტვა.

პირველი სანაკრებო მატჩი 1990 წელს საქართველოს სწორედ ლიტვასთან ჰქონდა თბილისში, როცა მეგობრულ-ამხანაგური თამაში ამხანაგურადვე დასრულდა — 2:2. ეს მატჩი ფიფას ეგიდით არ გამართულა, მომდევნო ურთიერთშეყრა კი ბალტიისპირეთში იყო და ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა 0:1 წაგვაგებინა.

მერე მეგობრობა დასრულდა: 2002 წლის მუნდიალის შესარჩევში ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილმა საქართველომ კაუნასში ცალკარა გაუმართა მასპინძლებს და 4:0 გაანადგურა, მერე კი თბილისში ალექსანდრე იაშვილის გვიანი ტყუპი გოლით 2:0 მოუგო. საერთოდ, „ყვითელ-მწვანეებს“ იმ დროს უსუსტესი ნაკრები ჰყავდათ, თორემ სხვა შესარჩევ ციკლებში ნაბოლარობა არასოდეს უკადრიათ. ბოლო ქართულ-ლიტვური ჯახი შარშან ამ დროს, თოვლიან „ეროვნულზე“ გაიმართა და მიხეილ აშვეთიას გოლი ერთადერთი იყო, თუმცა იმ თამაშის „ამხანაგურობას“ ქართველმა ვაიგულშემატკივრებმა მტრული იარლიყი მიაკერეს, რაკილა მთელი მატჩის განმავლობაში ყინულებს ესროდნენ ლიტველ ფეხბურთელებს.

საქართველოს დარად, ლიტვამაც პირველად 1996 წლის ევროშესარჩევ ციკლში გახსნა ფანჯარა და ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა ხორვატია-იტალიის შემდეგ. თანაც უკრაინა ჩამოიტოვა. მას შემდეგ კი ბალტიისპირელები ევროშესარჩევში დაფიცებულივით ბოლოსწინა ადგილს ტკეპნიდნენ, ექვსგუნდა ჯგუფებში 10 ქულას ძლივს უყრიდნენ თავს. ერთადერთი, 1998 წლის მუნდიალის კართან იყვნენ ასე თუ ისე ახლოს, როცა მესამეზე გასულები ერთი ქულით ჩამორჩნენ ირლანდიას.

და კიდევ: ეს სუსტი ნაკრებების სენია და ლიტვასაც აქვს შეყრილი — ისინი შესარჩევს ყოველთვის კარგად იწყებენ, ასე იყო გასულ ციკლში, როცა ესპანეთს ქულა დასცინცლეს შინ და ბელგიიდანაც ფრე წამოიღეს, მაგრამ ტკბილი ძირი კენწეროში უმწარდებათ.

ალგიმანტას ლიუბინსკასის ნაკრებს გამორჩეული ყოჩი არ ჰყავს. ეს ახლა, თორემ 30 წლის ფორვარდი ედგარას იანკაუსკასი სიჯეილეში გოლების ნაკლებობას არ უჩიოდა და ლიტვური მასშტაბი რა მოსატანია, ჟოზე მაურინიუს „პორტუში“ ჩემპიონთა ლიგაც კი მოუგია. იანკაუსკასი ახლა შოტლანდიურ „ჰართსში“ ირიცხება სამ თანამემამულესთან — ნერიუს ბარასასთან, შიაულას მიკოლიუნასთან და დეივიდას ჩესნაუსკისთან ერთად.

ლიტვას აღარ ჰყავს გინტარას სტაუჩეს დონის მეკარე, რომელსაც ბუნდესლიგაში ღირსეულად უთამაშია. „ყვითელ-მწვანეების“ კარს მეტწილად მოსკოვის დინამოელი ჟიდრუნას კარჩემარსკასი დარაჯობს, დაცვის ლიდერი და კაპიტანი დანიური „ბრონდბიუს“ აურელიუს შკარბალიუსი გახლავთ. ნახევარდაცვის წამყვანი ძალა სწორედ ნახსენები „ჰართსის“ სამეულია და ამ რგოლში კიდევ ერთი ევროტიტულიანი, მოსკოვის ცსკა-ს საყრდენი დეივიდას შემბერასიც უნდა ვახსენოთ.

და ერთიც, ალგიმანტას ლიუბინსკასი უფრო ფრთხილი ფეხბურთის მიმდევარი ჩანს, მის ხელში ნაკრები ცოტას იტანს და ცოტასაც უშვებს, მაგრამ ეს მაინც ზედაპირულობაა. დანარჩენს კი, გაგორდება ბურთი და იქ ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

### ლიტვა მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ტურნირში

*მეკარეები:* ჟიდრუნას კარჩემარსკასი, გიტის პადიმანსკასი, ვაიდოტას ჟუტაუტასი;

*მცველები:* დეივიდას შემბერასი, დარიუს ჟუტაუტასი, ტომას ჟვირგჟდაუსკასი, ნერიუს ბარასა, როლანდას ჟიაუკშტასი, ივნას დედურა, არუნას კლიმავიჩიუსი, გედიმინას პაულაუსკასი, მანტას სამუსევასი, აურელიუს შკარბალიუსი, ანდრიუს შკერლა, მარიუს სტანკევიჩიუსი;

*ნახევარმცველები:* რაიმონდას ჟუტაუტასი, ორესტას ბუიტკუსი, გედიმინას ბუტრიმავიჩიუსი, დეივიდას ჩესნაუსკისი, ტომას დანილევიჩიუსი, ანდრიუს გედგაუდასი, აურიმას კუცისი, საულიუს მიკალაიუნასი, იგორის მორინასი, აიდას პრეიკშაიტისი, ტომას რაჟანაუსკასი, მანტას სავენასი, დონატას ვენცევიჩიუსი;

*თავდამსხმელები:* ედგარას იანკაუსკასი, ედგარას ჩესნაუსკისი, აივარას ლაურისასი, რობერტას პოშკუსი, ტომას რაძინევიჩიუსი.

**ბელგია 1:1 ლიტვა**
**ლიტვა 4:0 სან მარინო**
**ლიტვა 0:0 ესპანეთი**
**სან მარინო 0:1 ლიტვა**
**ბოსნია 1:1 ლიტვა**
**ესპანეთი 1:0 ლიტვა**
**სერბეთი 2:0 ლიტვა**
**ლიტვა 0:1 ბოსნია**
**ლიტვა 0:2 სერბეთი**
**ლიტვა 1:1 ბელგია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 10 | 6 | 4 | 0 | 16:1 | 22 |
| ესპანეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 19:3 | 20 |
| ბოსნია | 10 | 4 | 4 | 2 | 12:9 | 16 |
| ბელგია | 10 | 3 | 3 | 4 | 16:11 | 12 |
| ლიტვა | 10 | 2 | 4 | 4 | 8:9 | 10 |
| სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2:40 | 0 |

### საქართველო ლიტვასთან

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02/09/92 | ს | ამ | ლიტვა | 0:1 |
| 07/10/00 | ს | მჩ | ლიტვა | 4:0 |
| 05/09/01 | შ | მჩ | ლიტვა | 2:0 |
| 09/02/05 | შ | ამ | ლიტვა | 1:0 |

## ფარერები

ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა: 1979 წელს
ფიფას წევრი: 1988 წლიდან
უეფას წევრი: 1990 წლიდან
პრეზიდენტი: ოლი ჰოლმი
გენერალური მდივანი: ისაკ მიკლადალი
მთავარი მწვრთნელი: მარტინ ოლსენი
კაპიტანი: იენს კნუდსენი
სტადიონი: „სვანგასკარდი“ (ტორსჰავნი, 8 020)
ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში: 132



ბექა [illegible] ფოტო

# ძველი შარდის ანალიზი

**რა** გაგახსენდება პირველად ფარერების ხსენებისას? ალბათ, ის, რომ ამ ქვეყნის ჩემპიონი „ტორსჰავნი“ შარშანწინ ჩვენს ჩემპიონს „ვიტ-ჯორჯიას“ შეხვდა საჩემპიონთალიგო უმდაბლეს ეტაპზე და აქ თუ 0:5 წააგო, შინ 3:0 მოუგო ვიტელებს, თუმც ეს არ იყო მთავარი. კუნძულელები მათი სახალხო შარდვით დაგვამახსოვრდნენ, ვარჯიშზე საქვეყნოდ რომ მიადგნენ ჩვენი ეროვნული სტადიონის ტრიბუნებს და ურცხვად მიაშარდეს.

საფეხბურთო ამბავში საქართველომ ფარერები ბევრად ადრე, 10 წლის წინ გაიცნო და მაშინდელი გაცნობა სულ სხვანაირად დამამახსოვრდა. მაშინ თასების თასიც თამაშდებოდა და „ბათუმთან“ წასათამაშებლად „ჰაფნარ-ბოლტფელაგი“ ჩამოვიდა. ამ კლუბს პირმშვენიერი ნორვეგიელი ქალი-პრეზიდენტი ჰყავდა, რომელმაც პრესკონფერენციაზე თქვა, ნორვეგიის ქალთა ნაკრების ფეხბურთელი ვარ და ევროპის ჩემპიონატიც მომიგიაო. და კიდევ, როდესაც მატჩის მიწურულს ფარერელებმა კაცი შეცვალეს, დაღლილ-დაქანცული სათადარიგოთა სკამზე დაჯდა თუ არა, ლუდის ქილა გახსნა და ერთი ამოსუნთქვით გამოცალა.

ფარერელებს არ ჰყავთ პროფესიონალი ან ნახევრადპროფესიონალი ფეხბურთელი. ერთი იყო, მოყვარულზე მეტს რომ ქაჩავდა, ვინმე ნორდ იოჰანსენი, დანიურ „ოდენსეში“ თამაშობდა და იმასაც კარიერა დაუსრულებია.

იქაური ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში 10 კლუბია და ათივე მეთუნუქეებით, მეცხვარეებით თუ ხაბაზებით არის სავსე. ცხადია ნაკრებიც ასეა. ჩემპიონატს სწორედ ზემოხსენებული „ტორსჰავნი“ ლიდერობს და ნაკრებშიც მისი ფეხბურთელები მრავლობენ, ამიტომაც ორი წლის წინ მომშარდველთაგან ეგებ კიდევ გვეწვიოს ვინმე.

სხვაფრივ, ფარერების ფეხბურთის ფედერაცია 26 წლისაა. უეფაში 1990 წელს გაწევრიანდა. აქედან მოყოლებული, კუნძულელებს ოთხი შესარჩევი ეტაპი აქვთ ნათამაშები და 36-მატჩიანი გამოცდილებაც (თუ ამას გამოცდილება ჰქვია) დაუგროვდათ. კუნძულელთა ბალანსი ასეთია: 36 მატჩი, 3 მოგება, 5 ფრე და 28 მარცხი. სადღეისოდ ფიფას რეიტინგში ფარერების ნაკრები 132-ეა და 8-ათასიან „სვანგასკარდზე“ თამაშობს, რომელიც არასოდეს ივსება.

**ბაჩო სვანიძე**

### ფარერები მუნდიალ-2006-ის შესარჩევ ტურნირში

*მეკარეები:* ჯენს კნუდსენი, იაკუპ მიკელსენი, გუნარ ნილსენი;
*მცველები:* არნოლდ ბერგი, ჰანს ჰანსენი, იოჰან ჰანსენი, იონ იაკობსენი, ოლი იოჰანესენი, პოოლ ტორსტეინსონი;
*ნახევარმცველები:* ტორინვარ აკსელსენი, ფროდი ბენიამინსენი, ატლი დანიელსენი, პაული ჰანსენი, ინდი ჰოისტედი, როგვი იაკობსენი, იულიან იონსონი, კლაუს იორგენსენი, კარი ნილსენი, სუნი ოლსენი, იან პეტერსონი, სიმუნ სამუელსენი;
*თავდამსხმელები:* ჰელინ ე ლაკიუნი, იაკუპ ე ბორგი, ჰიალგრიმ ელტორი, ენდრიუ ფლოტუმი, იონჰარდ ფრედერიკსბერგი, კრისტიან იაკობსენი, ტოდი იონსონი, იონ პეტერსენი.

**შვეიცარია 6:0 ფარერები**
**ფარერები 0:2 საფრანგეთი**
**კვიპროსი 2:2 ფარერები**
**ირლანდია 2:0 ფარერები**
**ფარერები 1:3 შვეიცარია**
**ფარერები 0:2 ირლანდია**
**ფარერები 0:3 კვიპროსი**
**საფრანგეთი 3:0 ფარერები**
**ფარერები 0:2 ისრაელი**
**ისრაელი 2:1 ფარერები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 14:2 | 20 |
| შვეიცარია | 10 | 4 | 6 | 0 | 18:7 | 18 |
| ისრაელი | 10 | 4 | 6 | 0 | 15:10 | 18 |
| ირლანდია | 10 | 4 | 5 | 1 | 12:5 | 17 |
| კვიპროსი | 10 | 1 | 1 | 8 | 8:20 | 4 |
| ფარერები | 10 | 0 | 1 | 9 | 4:27 | 1 |

## ევრო 2007 (21-წლამდელთა ნაკრებები)

# გამოვიზამფხულებთ მალტაზე?

### საქართველო უცნობ სერბეთთან და ნაცნობ ლიტვასთან

**ჯუჯა** მალტა და თუ მოვიგეთ, სერბეთი და ლიტვა — ესაა კობა ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილი 21-წლამდელთა ნაკრების მომავალი ბარიერები და ვინ იცის...

მოკლედ, გუშინ შვეიცარიულ მონტროში, ეროვნული ნაკრების წილისყრამდე ახალგაზრდული ნაკრებების ევრო-2007-ის შესარჩევი ციკლს უყარეს კენჭი, რომელსაც შვეიცარიის ნაკრების თავკაცი იაკობ კუნი და ლეგენდარული მარკო ვან ბასტენი გაუძღვნენ.



კობა ჟორჟიკაშვილი

როგორც იცით, 21-წლამდელთა ევროშესარჩევი შეცვლილი ფორმატით იმართება: რეიტინგის მიხედვით, ევროპის უსუსტესი 16 ნაკრები წინასწარ რაუნდში გაარკვევს უძლიერესებს, რომლებიც დანარჩენ 34 ნაკრებს შეუერთდებიან. ეს 42 გუნდი კი განაწილდა 14 სამგუნდიან ჯგუფად, საიდანაც მხოლოდ გამარჯვებულები გავლენ და პლეი ოფის სისტემით გაარკვევენ 7 საუკეთესოს — ესენი კი ფინალურ ეტაპზე მასპინძელ ჰოლანდიასთან ერთად ევროჩემპიონობისთვის იბრძოლებენ.

დაბალი რეიტინგის გამო ქართველი 21-წლამდელები სწორედ წინასწარი რაუნდიდან დაიწყებენ და, მგონი, კენჭისყრამ გაგვიმართლა: მეტოქედ მალტა შეგხვდა — პირველი თამაში სტუმრად გვექნება, მეორე — შინ. ეს თამაშები არაუგვიანეს 15 ივლისამდე გაიმართება.

მალტური ბარიერის შემდეგ ვან ბასტენის ხელმა მეტოქეებად მეორე კალათიდან ლიტვა, პირველიდან კი სერბეთი გვარგუნა — უკვე გაირკვა, რომ 16 აგვისტოს ჟორჟიკაშვილის გუნდი ლიტვას უმასპინძლებს, 2-3 სექტემბერს კი სტუმრად სერბეთს გაუსინჯავს კბილს.

კაცმა რომ თქვას, შედარებით სუსტი ნაკრებებისთვის შესარჩევი ციკლის ამგვარი ფორმატი უფრო ხელსაყრელია — აბა, სად ათმატჩიან მარათონში გასვლა და სად ორი თამაში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

ახლა მეტოქეებზე ვთქვათ: მალტელი ახალგაზრდები წინა შესარჩევ ციკლში ბოლო ადგილზე გავიდნენ, თუმცა ხუთი ქულა კი დააგროვეს — მათ შორის, ისლანდიას შინ მოუგეს.

ერთი სიტყვით, მალტა თუ ვერ გავიარეთ, საშველი აღარ ყოფილა...

ლიტველები ახალგაზრდულ ასაკში საშურ ძალას არასოდეს წარმოადგენდნენ — წინა შესარჩევის ექვსგუნდა ჯგუფში მეხუთე ადგილი დაიკავეს და ოდენ სან მარინოს გაასწრეს. შეგახსენებთ, შარშან ამ დროს ქართველ 21-წლამდელთა ნაკრებმა ლიტველ თანატოლებს თბილისში 1:0 მოუგო ამხანაგურად, თუმცა შარშანდლის მერე ბევრი რამ შეიცვალა...

და სერბეთი... აი, იქ კი ვერ გაამართლა ვან ბასტენის ხელმა: სერბი 21-წლამდელები შარშანწინ ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ და იტალიასთან 0:3 წააგეს, ათენის ოლიმპიადაზე კი ჯგუფში ჩარჩნენ. ბოლო შესარჩევ ციკლში კი სერბებიც ლიტვასთან ერთად იყვნენ ჯგუფში და მეორეზე გავიდნენ (გაასწრეს ესპანეთს და ჩამორჩნენ ბელგიას).

დრაგო ოკუკას გუნდმა პლეი ოფიც უპრობლემოდ გაიარა, „მოძმე“ ხორვატიას შინ 3:1, სტუმრად კი 2:1 მოუგო და ფინალური ეტაპის საგზურიც გაინაღდა. დღევანდელი სერბი ახალგაზრდებიდან მთავარი საფრთხე იტალიური „ლეჩეს“ ბომბარდირ მირკო ვუჩინიჩისგან გველის, რომელმაც ხორვატ თანატოლებს ორ თამაშში 4 გოლი აძგერა. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ პოსტიუგოსლაველებს სტუმრად ვეთამაშებით...

და კიდევ, უეფას დადგენილებით, ამ შესარჩევ ციკლში 1984 წელს დაბადებულებსაც შეუძლიათ თამაში და იმედია, კობა ჟორჟიკაშვილი ამ შანსს ახლა მაინც გამოიყენებს.

**ილია ნანობაშვილი**

### წინასწარი ეტაპი

| | | |
|---|---|---|
| ესტონეთი | — | უელსი |
| მალტა | — | საქართველო |
| სან მარინო | — | სომხეთი |
| ლიხტენშტაინი | — | ჩრდ. ირლანდია |
| ყაზახეთი | — | მოლდოვა |
| ლუქსემბურგი | — | მაკედონია |
| ანდორა | — | ისლანდია |
| აზერბაიჯანი | — | ირლანდია |

### ჯგუფური ეტაპი

**A ჯგუფი**
ნორვეგია
ბოსნია
სან მარინო — სომხეთს შორის გამარჯვებული

**B ჯგუფი**
ესპანეთი
სლოვაკეთი
ალბანეთი

**C ჯგუფი**
სერბეთი
ლიტვა
მალტა — საქართველოს შორის გამარჯვებული

**D ჯგუფი**
ბელგია
საბერძნეთი
აზერბაიჯანი — ირლანდიას შორის გამარჯვებული

**E ჯგუფი**
იტალია
ავსტრია
ანდორა — ისლანდიას შორის გამარჯვებული

**F ჯგუფი**
რუსეთი
უნგრეთი
ფინეთი

**G ჯგუფი**
პორტუგალია
პოლონეთი
ლატვია

**H ჯგუფი**
შვეიცარია
ინგლისი
ყაზახეთი — მოლდოვას შორის გამარჯვებული

**I ჯგუფი**
ჩეხეთი
ბელარუსი
კვიპროსი

**J ჯგუფი**
გერმანია
რუმინეთი
ლიხტენშტაინი — ჩრდ. ირლანდიას შორის გამარჯვებული

**K ჯგუფი**
დანია
შვედეთი
ლუქსემბურგი — მაკედონიას შორის გამარჯვებული

**L ჯგუფი**
ხორვატია
უკრაინა
ბულგარეთი

**M ჯგუფი**
თურქეთი
ისრაელი
ესტონეთი — უელსს შორის გამარჯვებული

**N ჯგუფი**
საფრანგეთი
სლოვენია
შოტლანდია

გრიგორი სურკისი — ვფიქრობთ, ამ კაცს დიდი წარდგენა არ სჭირდება და მოკლედ ვთქვათ: ის უკრაინული ფეხბურთის მამამთავარია და ყველა იმ წარმატების სულისჩამდგმელი, რასაც უკრაინამ საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ბოლო დროს მიაღწია.

გრიგორი სურკისს გუშინ კიევში დავუკავშირდით, ის და უკრაინის ნაკრების თავკაცი ოლეგ ბლოხინი მონტროდან შინ ახალდაბრუნებულნი იყვნენ...



# დიპლომატიური სურკისი: ერთად კარგია!

## საქართველო და უკრაინა უეფამაც არ დააშორა

— როგორი იქნება კენჭისყრის თქვენეული კომენტარი?

— ჯერ მთავარს გეტყვით, იმას, რაც ყველაზე მეტად მესიამოვნა — უკრაინა და საქართველო ისევ ერთ ჯგუფში არიან. ჩვენ ერთმანეთის გულითადი მეგობრები ვართ, ერთმანეთს ვაფასებთ და ამიტომაც საქართველოში სტუმრობა, ქართველების მასპინძლობა უკრაინისთვის ყოველთვის სასურველია. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ პირველები სწორედ უკრაინისა და საქართველოს წარმომადგენლები შევხვდით ერთმანეთს, გვესიამოვნა ისევ გვერდი-გვერდ რომ ვართ.

